

**ძვირფასო მკითხველო,**

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

**ჰეპატიტის მსოფლიო დღე**

**ზიანის შემცირება + დეკრიმინალიზაცია = ელიმინაცია**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 28 ივლისი ჰეპატიტების მსოფლიო დღედ არის გამოცხადებული. საქართველოში 200 000 ადამიანი C ჰეპატიტით ცხოვრობს. სახელმწიფომ ბოლო წლებში ქმედითი ნაბიჯები გადადგა მკურნალობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად: 2015 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ასევე ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია. პროგრამის დაწყებიდან დღემდე 41 ათასამდე პაციენტმა მიმართა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას და დაახლოებით 40 ათასმა მათგანმა იმკურნალა უახლესი ანტივირუსული მედიკამენტების შემცველი რეჟიმებით. 30 ათასზე მეტმა პაციენტმა უკვე დაასრულა მკურნალობა და მათში, რომელთაც ჩაუტარდათ მყარი ვირუსული პასუხის შესაფასებელი ანალიზი მკურნალობის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ, დაახლოებით 98%-ში გამოვლინდა სრული განკურნება.

**28 ივლისს** ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის, ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის და პაციენტთა საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზებით ქუჩის აქცია/მსვლელობა რუსთაველიდან თავისუფლების მოედნამდე გაიმართა. აქცია ჰეპატიტების მსოფლიო დღეს მიეძღვნა.

წლებანდელი საადვოკაციო კამპანია „ზიანის შემცირება+დეკრიმინალიზაცია=ელიმინაცია“ მიზნად ისა-





საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც C ჰე-პატიტის სრული აღმოფხვრა, ანუ ელიმინაცია უნდა მოახდინოს. ელიმინაციის პროგრამაზე მუშაობისას, მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების მიერ და ავტორიტეტული კვლევების თანახმად გაკეთდა რეკომენდაცია, მკურნალობის პროგრამაში ნარკოტიკის მომხმარებლების პრიორიტეტულად ჩართვასთან დაკავშირებით. მოსახლეობის ამ ჯგუფში ინფექცია ყველაზე მეტადაა გავრცელებული, იმისათვის, რომ ქვეყანაში ინფექციის ელიმინაცია მოხდეს, საჭიროა ნარკოტიკის მომხმარებლების 90%-ის მკურნალობის პროგრამაში ჩართვა.

ხავდა ხელი შეუწყოს ზიანის შემცირების მიდგომების ინტეგრირებას ელიმინაციის პროგრამაში და საზოგადოების და გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირებულობას ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციის მნიშვნელობაზე ელიმინაციის მისაღწევად.

ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის პირობებში, ნარკოტიკის მომხმარებელი განიცდის დევნას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. მაღალია საპატიმრო სასჯელის გამოყენების სტატისტიკა. ასევე






მაღალია C ჰეპატიტის გავრცელება საპატიმრო დაწესებულებებში. ზიანის შემცირების პროგრამებისთვის გართულებულია ნარკოტიკის მომხმარებლებზე წვდომა და მათთვის C ჰეპატიტის პრევენციული სერვისების მიწოდება. შესაბამისად, არსებული ნარკოპოლიტიკა ხელს უწყობს ინფექციის დონის ზრდას მოსახლეობის ამ ჯგუფში.

კამპანიის ფოკუსი ასევე მიმართული იყო სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამის მხარდაჭერისკენ. სამოქალაქო საზოგადოებამ მიმართა სახელმწიფოს გაითვალისწინოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები (TAG), და მოახდინონ პროგრამის დროული და ეფექტური განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე, უფასოდ შესთავაზონ პაციენტებს დიაგნოსტიკა/მკურნალობა, მკურნალობის დამყოლობის მხარდაჭერი პროგრამების ამუშავება. კამპანიის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო პაციენტთა განათლებასა და მკურნალობისკენ მიმართული ღონისძიებები.

**28 ივლისს** აქციაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საზოგადოებას უზი-

არებდნენ ინფორმაციას, როგორც დაავადების, ისე ქვეყანაში მისი გავრცელებისა და პრევალენტობის შესახებ. გავრცელდა სპეციალურად შემუშავებულ საინფორმაციო მასალა, რომელიც პაციენტებს პროგრამაში ჩართვას დაეხმარება. 28 ივლისს მედიასთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მობილური ამბულატორიების საშუალებით საზოგადოებრივი მაუწყებლის და რუსთავი2 ჟურნალისტებისთვის ჩატარდა ნებაყოფლობითი ტესტირება აივ ინფექციასა და C ჰეპატიტზე. ამ აქციამ მედიის წარმომადგენლების დიდი ინტერესი გამოიწვია (სკრინინგი 171 ადამიანს ჩატარდა). მომავალში მედია ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შემორანდუმი გაფორმდება და პერიოდულად ტესტირება გაიმართება. კვირეულის ფარგლებში, ისევე როგორც 28 ივლისს მობილური ამბულატორიებით C ჰეპატიტზე ზოგადი პოპულაციისთვის სკრინინგი ჩატარდა. აქციის ფარგლებში მოსახლეობას მიეცა შესაძლებლობა გაეგო საკუთარი



*„ფენიქსი 2009“-ის თანამშრომლებმა გურიის პრობაციის ბიუროს ლანჩხუთის ოფისში, ბიუროს ბენეფიციარებს, აგრეთვე ზოგადი პოპულაციის სხვა წარმომადგენლებს, ჩატარეს სწრაფი ტესტირება აივ/შიდსსა და C ჰეპატიტზე.*



კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“ წარმომადგენლები

სტატუსის შესახებ. ეროვნული კამპანიის ფარგლებში საქართველოს 8 ქალაქში ღონისძიებები გაიმართა. ადგილობრივ დონეზე ღონისძიებებს ორგანიზება გაუწია ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის (GeNPUD), პაციენტთა თემის საკონსულტაციო საბჭოს (GeCAB) წევრმა თვითორგანიზაციებმა,

საინიციატივო ჯგუფებმა და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის (GHRN) წევრმა ორგანიზაციებმა: „ნაბიჯი მომავლისკენ“ (გორი, თელავი), „ახალი გზა“ (ქუთაისი, სამტრედია, თბილისი), „რუბიკონი“, (ქუთაისი), „ქსენონი“ (ზუგდიდი), „ორდუ“ (ფოთი), „იმედი“ (ბათუმი), „თანადგომა“ (ბათუმი), „ფენიქსი 2009“ (ოზურგეთი), „აკესო“ (თბილისი), „ჰეპა პლიუსი“ (თბილისი), „ახალი ვექტორი“ (რუსთავი, თბილისი).

**2017 წლის 28 ივლისს**, ასოციაცია „ქსენონ-მა“ ზუგდიდში ჰეპატიტის მსოფლიო დღე აღნიშნა. შეხვედრაზე „C ჰეპატიტის ელიმინაცია“ მონაწილეებმა იმსჯელეს ელიმინაციის პროგრამის მიღწევებსა და იმ ბარიერებზე, რომელსაც აწყდებიან ნარკოტიკების მომხმარებლები ჰეპატიტის დიაგნოსტიკა/მკურნალობის პროცესში. ასოციაცია „ქსენონის“ მიერ, ასევე, წარდგენილ იქნა ზიანის შემცირების პროგრამების შედეგები სამეგრელოს რეგიონში, რამაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა აღნიშნული პროგრამების მნიშვნელობას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროცესში.



# სამუშაო შეხვედრა ჰოლიდები ინიშ



ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ორგანიზებით **1-2 აგვისტოს** სასტუმრო ჰოლიდები ინიშ სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც აივ/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფებისათვის პრევენციის სერვისების სტანდარტების წარდგენა მოხდა. ღონისძიება მიზნად ისახავდა სტანდარტების ფართო ჯგუფებში განხილვას. შეხვედრაზე აგრეთვე საბიუჯეტო ადვოკაციის გეგმის წარდგენა მოხდა, რომელიც მიმართულია სერვისების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და დაფინანსების მონიტორინგის პროცესის ინიცირებისათვის. 2 აგვისტოს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან ერთად გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ მოსალოდნელი რისკების შესახებ განხილვა გაიმართეს.



# ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი ეხმიანება „ჯემ ფესტივალ“ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი ეხმიანება ელექტრონული მუსიკის ფესტივალ „ჯემ ფესტივალ“ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

აღსანიშნავია, რომ მომხდარი ტრაგედიის მიუხედავად დღესაც გრძელდება ახალგაზრდების უცნობი ნივთიერებებით მოწამვლის შემთხვევები. აშკარაა, რომ ფესტივალის მონაწილეები არ ფლობენ ინფორმაციას ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეულ საფრთხეებზე, მათ არ აქვთ ცოდნა ზედღობის შემთხვევების მართვის. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე შეუძლებელია ბოლომდე გამორიცხო ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევები, შესაბამისად ორგანიზატორებსაც



და ხელისუფალსაც მართებს მეტი გულისხმიერება გაუფრთხილდეს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლეს და უზრუნველყოს ისინი იმ სერვისებით, რომელიც თავიდან აგვაცილებს მოსალოდნელ საფრთხეებს. ზიანის შემცირების ქსელს გააჩნია სათანადო ექსპერტიზა და მრავალწლიანი გამოცდილება ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის, მათ შორის ზედღობის პრევენციის და განათლების კუთხით. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი მისი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში აცხადებს მზადყოფნას დაეხმაროს ღონისძიების ორგანიზატორებს, მიაწოდოს საინფორმაციო მასალა ფესტივალის მონაწილეებს და შესთავაზოს მათ ზიანის შემცირების სერვისები.



ზიანის შემცირებაზე ბევრი შეიძლება ისაუბრო, ძალიან ბევრი, რადგან იდეოლოგიიდან პრაქტიკაში გადაიზარდა და უკვე ათეული წლებია თავის დადებით შედეგებს აჩვენებს.

ზიანის შემცირება აღიარებს, რომ ნარკოტიკი იარსებებს მანამ სანამ კაცობრიობა არსებობს; შესაბამისად იქნებიან ადამიანები, რომლებიც მას გასინჯავენ, გააგრძე-

## მე მხარს ვუჭერ ზიანის შემცირებას!

ლებენ მოხმარებას, თავს დაანებენ და კიდევ ისინი ვინც მოხმარებას თავს არ დაანებებენ. სწორედ მათგან გათვლილი ეს მიდგომა, ის ვინც თავს ვერ დაანებებს, რით ვუშველოთ, რა შევთავაზოთ. ვთავაზობთ მკურნალობას, რეაბილიტაციას და აქვე ვაცნობიერებთ, რომ იარსებებენ ადამიანები, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე მაინც გააგრძელებენ მოხმარებას. რას ვიზამთ, ეს მათი არჩევანია, ზოგჯერ ბევრი მცდელობების მიუხედავად უძღურები ვრჩებით ამ პრობლემის წინაშე. აი, ამ შემთხვევაში როგორ ვიქცევით? რითი შეგვიძლია დავეხმაროთ? სწორედ აქ ჩნდება ადგილი ზიანის შემცირებისთვის, რომელიც აცნობიერებს ამ რეალობას და არ ისახავს მიზნად უტოპიას. ის აბსოლუტურად რეალურად მსჯელობს და ამბობს, რა



კი მოხმარებას თავს ვერ ანებებ, ისე მაინც მოიხმარე, რომ საკუთარ ჯანმრთელობას და შენ გარშემომყოფებს ნაკლები ზიანი მიაყენო. ამიტომ ზიანის შემცირება ძალიან ჰუმანური მიდგომაა, ის

არ ქადაგებს, რომ ყველა მოხმარებელი ერთ გემზე შევყაროთ და დავწვათ, ან ყველა გადავასახლოთ და დავკლათ/დავხოცოთ, როგორც ამას ზოგჯერ „კარგის მსურველები“ ქადაგებენ.

ზიანის შემცირება სწორი ინფორმაციის გავრცელებაა და არა ნარკოტიკისგან „ბუას“ შექმნა, რომელიც საერთოდ არავისზე არ მოქმედებს, დაახლოებით ისე როგორც სიკვდილის მესიჯები სიგარეტის კოლოფებზე. მახსენდება 2008 წელი, როცა ნიდერლანდებში ვსწავლობდი, მხვდა წილად პატივი მენახა იქაური ზიანის შემცირების სერვისები, და სრულიად გაოგნებული დავრჩი, რადგან აბსოლუტურად ახლებურად დავინახე სახელმწიფო დონეზე აყვანილი ზიანის შემცირების სისტემა. რომელიც სიტყვა სიტყვით ეფუძნება იმ იდეოლოგიას რაც ზემოთ აღვწერე, იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. განვმარტავ რა იგულისხმება სახელმწიფო დონეზე: მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს (მაშინ დაახლოებით 20 მდე იყო) ე.წ. ნივთიერებათა ტესტირების ცენტრები, ლაბორატორიები, სადაც ნებისმიერს შეუძლია მიიტანოს მასალა, რომლის ტესტირების შედეგს კონვერტით ან ტელეფონით შეატყობინებენ. ეს ყველაფერი ანონიმურობის დაცვით ხდება, რადგან ადამიანს მისვლა თავისუფლად შეეძლოს. რაში სჭირდებათ ეს ტესტირების ცენტრები? იმაში, რომ ყოველთვის იციან ქვეყანაში რა ტიპის ახალი ნარკოტიკი შემოვიდა, რა საზიანო შემადგენლობისაა და შესაბამისად ავრცელებენ სწორ და ზუსტ ინფორმაციას საშიში შემცველობის შესახებ, თუ რატომ არის საშიში. ამასთანავე პირი რომელმაც მიიტანა ნარკოტიკი და შესაძლოა შეიძინა როგორც X ნარკოტიკი,

ამ ტესტირებით იგებს, რომ ის რაღაც Y ნარკოტიკია, ანუ სულაც არ არის ის, რაც მას ჰგონია, ან არ არის ისეთი სუფთა როგორი აღუწერეს მინარევების გარეშე და იყიდა. ამიტომ ასეთი ინფორმირებული ადამიანი უკვე ამ X ნარკოტიკს აღარ იყიდის და შავი ბაზარიც იძულებულია უფრო ხარისხიანი ნარკოტიკი შექმნას. ხარისხიანი ნარკოტიკი და სწორი ინფორმაცია არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისას. სწორედ ამ ინფორმაციის არ ქონა და ზიანის შესახებ ინფორმაციის აბსოლუტური დეფიციტი არის სწორედ მიზეზი ყველაზე ცუდი – ფატალური შემთხვევის. სახელმწიფო ყველას კუდში ვერ გამოეკიდება არ მოიხმარო, მაგრამ მას საზღვრების კონტროლის და გამსაღებლების მკაცრად დასჯის გარდა შეუძლია ირიბი კონტროლი განახორციელოს ნარკობაზარზე, მხარი დაუჭიროს ზიანის შემცირებას, შედეგად ბევრ მის მოქალაქეს სიცოცხლე შეუნარჩუნოს.

ჩემი დიდი ოცნებაა უნარკოტიკო სამყარო, როგორც სამი ბიჭის დედის, მაგრამ ზუსტად ვაცნობიერებ რომ ეს უტოპიაა, მაგრამ რეალურად ამ მოცემულობაში, მე რა შემიძლია? მე შემიძლია მხარი დაუჭირო ზიანის შემცირებას. მე ღიად ვსაუბრობ შვილებთან ყველა ტიპის ნარკოტიკზე, მის შემცველობაზე, რა კონკრეტული ნივთიერებებია ზიანის მომტანი, რატომ და რა შედეგამდე მიჰყავს მოხმარებას ადამიანი. მე ზუსტად მინდა ვიცოდე, რომ ჩემი შვილები ფლობენ სწორ ინფორმაციას ნარკოტიკების შესახებ, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ ცხოვრებაში. მე ხომ ყოველთვის ვერ ვიქნები მათი ფარი, ისინი გაიზრდებიან და დამოუკიდებლად დაიწყებენ საკუთარ ცხოვრებას, გადაწყვეტილებების მიღებას. ისინი ზოგჯერ ჩემზე მეტ ინფორმაციას ფლობენ, ამიტომ ვცდილობ მათგანაც ვისწავლო, ვცდილობ შევამზადო ყველა შესაძლო სიტუაციისთვის და მხოლოდ შემდეგ ვანდობ მათ საკუთარ თავისუფლებას! ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ!

**ავტორი: ირმა კირთაძე, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ მკვლევარი.**

# ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ  
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს  
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს  
ელექტრონულ მისამართზე  
*marinaasatiani@yahoo.com*

ან

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,  
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და  
საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,  
მე-3 სართული, ბ. 6  
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60  
ელ. ფოსტა: *info@hrn.ge*  
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

